PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ ვალიშვილი

წევრები:

ნინო ჩომახაშვილი

ინგა ბოჭოიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

ზუგდიდი, 2020 წელი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის ბრძანების (N 502078) საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - თამარ ვალიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე), ნინო ჩომახაშვილი (ჯგუფის წევრი), ინგა ბოჭოიძე (ჯგუფის წევრი) 2020 წლის 9 ივლისს განახორციელა ვიზიტი სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა – სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს (2020 წლის 9 ივლისი) განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებთან, გადამოწმდა დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკა, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები პროფესიული განათლების მიმართულებით, მოხდა საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება (მათ შორის ბიბლიოთეკა), საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის პირადი საქმეების, საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმების არსებული პრაქტიკის შემოწმება.

ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება – გადამოწმდა 2 სტომატოლოგიური კლინიკა: ი.მ. თამარ ჩიხლაძის სტომატოლოგიური კლინიკა „ნანო ცენტრი“ და შპს „ბედნიერი ღიმილი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოხდა დასკვნის პროექტში შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მიგნებების და სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის შეჯერება.

დასკვნის პროექტის ძირითადი მიგნებები და ძირითადი ასპექტები ექსპერტებმა გააცნეს სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას, პერსონალსა და საგნმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს.

სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციამ სრულად შეუწყო ხელი ექსპერტთა მუშაობას და შეუქმნა ყველა პირობა ვიზიტით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად. შედეგად ვიზიტმა მთლიანობაში ჩაიარა საქმიან და კონსტრუქციულ გარემოში.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლონ პროგრამის განხორციელება იგეგმება ქალაქ ზუგდიდში, სადაც ასევე ხორციელდება აკადემიური პროგრამები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, პროფესიული პროგრამებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი (A, B და C გარემო) არის მხოლოდ პროფესიული პროგრამებისათვის და ადგილი არ აქვს გადაფარვას აკადემიურ პროგრამებთან. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი, თუმცა მათი დატვირთვების გადამოწმებისას არ დასტურდება პროფესიული პროგრამის განხორციელების რისკი. შესაბამისად, უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- ***რეკომენდაცია N1 – სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისთვის განისაზღვროს რა ვადებში (თუ მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა) და რა ფორმით მიმართავს პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შეფასების მოთხოვნით, რაც დაეხმარება დაწესებულებას შეფასების პროცესის და რესურსების ორგანიზებაში;***

<u>შესრულების შეფასება:</u> შეტანილ იქნა ცვლილება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მუხლი N24–ის პუნქტი 24–ში, კერძოდ, სასწავლო გეგმა შემუშავებულია წინაპირობების დაცვით. სასწავლო გეგმაში მოდულების განხორციელების ეტაპებს შორის გათვალისწინებულია დამატებითი ვადები. დამატებითი ვადა ნიშნავს მოდულების დასრულების შემდეგ მომდევნო ეტაპის დაწყებამდე გამოყოფილ პერიოდს განმეორებითი შეფასებისთვის (ერთი კვირა), რაც ითვალისწინებს: ა) პროფესიული სტუდენტის მიერ წინაპირობის მქონე მოდულის წინმსწრები მოდულის შეფასებისას შედეგის არდადასტურების შემთხვევაში განმსაზღვრელი სწავლის შედეგების დამატებითი მიღწევის შესაძლებლობას დამატებით ვადაში 1–ჯერ; ბ) მოდულის დასრულებას კალენდარული გეგმის შესაბამისად, საანგარიშო კვირაში ოფიციალური უქმე დღეების ან სხვა მიზეზის გამო სასწავლო პროცესის შეფერხების შემთხვევაში.

- ***რეკომენდაცია N2 – შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს ვინ, რა ფორმით, რა ვადაში და რა საშუალებებით ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ.***

<u>შესრულების შეფასება:</u> შეტანილ იქნა ცვლილება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მუხლი N24–ის პუნქტი 12 და 13–ში, კერძოდ, წინამდებარე დებულების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება შეფასებამდე მინიმუმ სამი სამუშაო დღით ადრე ზეპირი შეტყობინების ან/და თვალსაჩინო ადგილას განთავსებული განცხადების ან/დასოციალური ქსელის მეშვეობით ან/და სხვა ალტერნატიული წყაროთი. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ახდენს მოდულის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

შედეგების ინფორმირებას შეფასებიდან ერთი კვირის განმავლობაში. ინფორმირებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ელექტრონული ფოსტა, მესენჯერი, სმს, შესაფერისი პლატფორმა და სხვა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

I. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.1.5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

არჩევითი მოდულები არ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია „პირის ღრუს ჰიგიენისტის“ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალოს არსებული არჩევითი მოდულები.

2.2.1. 1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

- *რეკომენდირებულია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა პრაქტიკული-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისთვის, კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება, როგორებიცაა მუდმივი წყლის მიწოდების სისტემის უზრუნველყოფა, ცეცხლმაქრი, სპეციალური ლაბორატორიული ავეჯი.*
- *პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებს არა აქვს დანართი, სადაც იქნება იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლთა განხორციელებაც იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე, ასევე არ აქვს მოდულებით გათვალისწინებული მასალა-ნედლეულის ჩამონათვალი. რეკომენდირებულია ხელშეკრულებებში აისახოს შესაბამისი ინფორმაცია.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

- *იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ითვალისწინებს 11 საერთო პროფესიულ და 6 პროფესიული მოდულს და პროგრამის განხორციელება იგეგმება 3 წლის განმავლობაში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაზარდოს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების რაოდენობა.*

განმავითარებელი რეკომენდაცია

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის განმახორციელებლებთან წინარე ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი კონკრეტულად რომელი მოდულის განხორციელებისთვის იწვევენ ამა თუ იმ პირს. ხელშეკრულებაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს - „საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების მოდულები“; სავალდებულო/პროფესიული მოდულების პოზიციაზე და ა.შ. სასურველია – თუ წინარე ხელშეკრულებებშიც გაიწერება კონკრეტულად რომელი მოდულის განსახორციელებლად იწვევს დაწესებულება ამა თუ იმ პირს;

ყველა მოდულში განხორციელების მისამართად მითითებულია ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას 14. თუმცა, რადგან დაწესებულებას მოდულების პრაქტიკული კომპონენტები გატანილი აქვს პრაქტიკის ობიექტებზე, ასეთ მოდულებში კარგი იქნება ორივე მისამართის მითითება.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	პირის ღრუს ჰიგიენისტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში /Secondary Vocational Qualification in Dental Studies.
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ზუგდიდი, ჯანაშიას ქ., N14
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	155 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	185 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	132 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას პრიორიტეტების განსაზღვრის თაობაზე, რომელიც ასახული იყო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში. 2018 წლის 20 დეკემბრის აკადემიური საბჭოს N 58 და N59 დადგენილებებით განისაზღვრა პრიორიტეტული პროფესიული განათლების მიმართულებები/დარგები და დადასტურდა პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობა. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება დაეყრდნო როგორც საკანონმდებლო აქტების (სამინისტროს, ცენტრის ბრძანებები, პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი) გამო პროგრამებში გასახორციელებელი ცვლილებების აუცილებლობას, ასევე რეგიონის საჭიროებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის ხედვას, მისიას და სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნას სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და დასაქმების გარემო.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესის მიხედვით (მუხლი 5) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდა: პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, დარგის სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებელი. სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება წინამდებარე წესის მე-4 მუხლის შესაბამისად, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის ოქმებით და სამუშაო ჯგუფის წევრებთან გასაუბრებით (პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, პროფესიული მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელი). ჯგუფის მუშაობის შედეგად პროგრამის მთლიანი მომზადებული პაკეტი (ძირითადი დოკუმენტი და დანართები) შესათანხმებლად წარედგინება პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსს, რომელიც შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

შეფასებისათვის პროგრამას გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი რეკომენდაციებით პროგრამას უბრუნებს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს, რომელიც გადამუშავებულ პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას, ხოლო იმ სასწავლო გეგმაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები – საბაზო ზოგადი განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით", რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" შესაბამისად. მეთოდოლოგიის" შესაბამისად. წინამდებარე დებულების მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტში მისაღები პროფესიული სტუდენტის კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრა ხდება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ხანგრძლივობის, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის, მათ შორის: სტანდარტების გათვალისწინებით, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, პრაქტიკის ობიექტის, მასწავლებლების/ინსტრუქტორების რაოდენობის შესაბამისად და შეადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები ზღვრული რაოდენობის ჯამს.

„პირის ღრუს ჰიგიენისტის" საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობაა 40, მათ შორის 20 სრული ზოგადი განათლების მქონე სტუდენტებისთვის (ორი მიღების გათვალისწინებით), 20 – იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, თითო მიღებაზე გათვალისწინებულია 20 სტუდენტის მიღება (პროგრამის განხორციელების მეორე და მესამე წელს (ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში), სწავლება იგეგმება ორ ცვლაში). აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გამოთვლა, განხორციელდა ერთი კვოტის ფარგლებში (ინტეგრირებულისთვის და არაინტეგრირებულისთვის).

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო მოდულების განხორციელებისთვის უცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

საგანმანათლებლო პროგრამაში არის წარმოდგენილი არჩევითი მოდულები 17 კრედიტის მოცულობით, რომელიც შემოთავაზებულია ჩარჩო დოკუმენტით: 1. ბიომექანიკური აპარატების პრაქტიკაში გამოყენება – 1 კრედიტი; 2. მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის დამზადება – 8 კრედიტი; 3. ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზების მომზადება, პოლიმერიზაცია – 4 კრედიტი; 4. მეტალოკერამიკა – 4 კრედიტი. აღნიშნული მოდულები არ შეესაბამება მისანიჭიბელ კვალიფიკაციას და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია „პირის ღრუს ჰიგიენისტის“ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალოს არსებული არჩევითი მოდულები.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს-აკადემიური საბჭოს მიერ – 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით. დამტკიცების პროცედურა გაწერილია აკადემიური საბჭოს დებულებით. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ცვლილება „პირის ღრუს ჰიგიენისტის“ საგანმანათლებლო პროგრამაში, კერძოდ, პროგრამის აღწერილობით ნაწილში გასწორდა ტექნიკური შეცდომა – პროგრამის დასახელება „პირის ღრუს ჰიგიენის საქმე“ შეიცვალა შემდეგნაირად – „პირის ღრუს ჰიგიენისტი“. შესაბამისად, პროგრამა აღნიშნული ცვლილებებით დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე 22 ივნისის N38 დადგენილებით.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „პირის ღრუს ჰიგიენისტი“, სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე მისაღწევ სწავლის შედეგებს.

8. **„პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პირის ღრუს ჰიგიენისტი შემუშავებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი-09110-პ) „დენტალური საქმე /Dental Studies" საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამა ,,პირის ღრუს ჰიგიენისტი" სრულ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018წლის 22 აგვისტოს №764/ი ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან ,,დენტალური საქმე" (ცვლილება - 2019 წლის 25 სექტემბრის N 877/ი ბრძანება) შემუშავებულია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ,,პროფესიული საგანმანათლბელო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების წესის შესაბამისად. სასწავლო გეგმა (ინტეგრირებული) ასევე შესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებას ,,საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ".

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება ქართულ ენაზე - პირის ღრუს ჰიგიენისტი, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 09110-პ, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, მიზნები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში /Secondary Vocational Qualification in Dental Studies, კვალიფიკაციის კოდი 0911, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას.

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 102 კრედიტს (პროგრამის ხანგრძლივობა - 19 სასწავლო თვე, 76 სასწავლო კვირა), კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 132 კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 25 სასწავლო თვე, 100 სასწავლო კვირა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 155 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობა- 114 სასწავლო კვირას(არანაკლებ 3 წელს),ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 185 კრედიტს,პროგრამის ხანგრძლივობა- 138 სასწავლო კვირა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ ითვალისწინებს 102 კრედიტს და მოიცავს:

- *<u>5 ზოგად მოდულს</u> 15 კრედიტის მოცულობით (ინფორმაციული წიგნიერება1 - 3კრედიტი, ინტერპერსონალური კომუნიკაცია - 3 კრედიტი, მეწარმეობა 2 - 2 კრედიტი, რაოდენობრივი წიგნიერება - 2 კრედიტი, ინგლისური ენა - 5 კრედიტი);*
- *<u>საერთო პროფესიულ მოდულებს</u> 37 კრედიტის მოცულობით(გაცნობითი პრაქტიკა - დენტალური საქმე - 2 კრედიტი, პირის ღრუს ანატომიური სტრუქტურის იდენტიფიცირება - 2 კრედიტი, კბილების ძერწვა და მოდელირება - 3 კრედიტი, კბილის მაგარ და რბილ ქსოვილთა დაზიანების იდენტიფიცირება - 2 კრედიტი, მასალათმცოდნეობა და მისი გამოყენება - 3 კრედიტი, სტომატოლოგიური კაბინეტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა - 3 კრედიტი, პირის ღრუს ჯანმრთელობაზე ზრუნვა 1 - 3 კრედიტი, დენტალური რენტგენის გადაღება - 6 კრედიტი, სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებული საიზოლაციო სისტემები - 3 კრედიტი, სპეციალური საჭიროების პაციენტების სტომატოლოგიური მომსახურება - 7 კრედიტი, სამუშაოს ორგანიზება სტომატოლოგიური საქმისათვის -3 კრედიტი;*
- *<u>პროფესიულ მოდულებს</u> 33 კრედიტის მოცულობით (ლორწოვანი გარსის მდგომარეობის შეფასება - 6 კრედიტი, პაროდონტის მდგომარეობის შეფასება - 7 კრედიტი, პაციენტის გამოკვლევა - 5 კრედიტი, პირის ღრუს ჯანმრთელობაზე ზრუნვა 2 - 5 კრედიტი, კბილების ზედაპირის პროფილაქტიკური ფტორირება - 5 კრედიტი, კბილების ფისურების ჩაბეჭდვა (ჰერმეტიზაცია) - 5კრედიტი.*
- *<u>არჩევით მოდულებს-</u>17 კრედიტის მოცულობით (ბიომექანიკური აპარატების პრაქტიკაში გამოყენება - 1 კრედიტი, მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის დამზადება - 8 კრედიტი, ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზების მომზადება, პოლიმერიზაცია - 4 კრედიტი, მეტალოკერამიკა- 4 კრედიტი.*

„პირის ღრუს ჰიგიენისტის“პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია მოდულების წინაპირობების დაცვით და ითვალისწინებს დამატებითი შეფასების პერიოდს, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა მერყეობს 30-დან 40 საათს შორის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდზე განთავსებული სასწავლო უნივერსიტეტის მისიით და სტრატეგიული გეგმით;
- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამით და პროგრამის თანმდევი დანართებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №58 ,,პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამატების მიზანშეწონილად ჩათვლის შესახებ“ და №59 ,,სამწლიან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანისა და პრიორიტეტული პროფეიული საგნამანათლებლო პროგრამების დასამატებლად გასახორციელებელი აქტივობების გეგმაში ასახვის შესახებ“დადგენილებებით;
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 11 ივნისის N 33 დადგენილებით დამტკიცებული ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ;
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 18 იანვრის N04 დადგენილებით დამტკიცებული „მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების /მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ მეთოდოლოგია/წესით;
- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის N14 მიერ დამტკიცებული„ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;
- მატერიალური რესურსის შეძენასთან დაკავშირებული დოკუმენტაციით;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ <u>მეტწილად შეესაბამება</u>

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

საგანმანათლებლო პროგრამის "პირის ღრუს ჰიგიენისტი" განხორციელება იგეგმება ქ. ზუგდიდში შემდეგ მისამართზე: ჯანაშიას ქ.,N14, აუდიტორია №307 – A გარემო (ფართი 50მ²), №316 – C გარემო (ფართი 57მ²). პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

გათვალისწინებით – 40 პროფესიული სტუდენტი. ერთ მიღებაზე იგეგმება 20 სტუდენტის მიღება. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც ადგილზე დათვალიერებით დასტურდება.

<u>A გარემოს აღჭურვილობა:</u> პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი, პროექტორი, მასწავლებლის მაგიდა, პროფესილი სტუდენტის – 26 სამუშაო მაგიდა სკამით, დაფა-2 ცალი.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაციის მიზნით დაწესებულებას აქვს მოდულებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით აღჭურვილი სიმულაციური C გარემო, რომელშიც მოთავსებულია სტომატოლოგიური სავარძელი – 1 ცალი, კომპრესორი – 1 ცალი, ავტოკლავი – 1 ცალი, კვარცის აპარატი – 1 ცალი, რენტგენის აპარატი – 1 ცალი, სკეილერის აპარატი – 1 ცალი, მიკრომოტორი ბუნიკისათვის – 1 ცალი, კუთხისქვეშა ბუნიკი – 1 ცალი, ჰელიო აპარატი – 1 ცალი, სათვალე – 5 ცალი, ჰელიოს სათვალე – 3 ცალი, იარაღების ანაწყობი(თერაპიული) – 6 კომპლექტი, ბორების ანაწყობი – 3 კომპლექტი, ფაილები – H, №6 მწვანე 1 შეკვრა, ფაილები K, №6 მწვანე 1 შეკვრა, პულპექსტრაქტორი 3 შეკვრა, თავის ქალას ფანტომი 1ცალი, ზედა და ქვედა ყბის ფანტომი 1ცალი, კბილის საიზოლაციო სისტემა 4ცალი, პირის ღრუს საიზოლაციო სისტემა 4ცალი, ენდობუნიკი 1ცალი, გუტაქათი 5ცალი, ელექტროოდონტომეტრი 1ცალი, პაროდონტოლოგიური ზონდი 15ცალი, ტყვიის შემცველი დამცავი გულსაფარი 2ცალი, ტყვიის შემცველი დამცავი ყელსახვევი 2ცალი, ფირის ფიქსატორი 1ცალი, ტურბინული ბუნიკი 1ცალი.

სასწავლო B გარემო აღჭურვილია – პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი -1ცალი, პროექტორი - 1 ცალი, პრინტერი 1 ცალი, მასწავლებლის მაგიდა 1 ცალი, დაფა - 1 ცალი, პროფესიული სტუდენტის – 20 სამუშაო მაგიდა.

<u>ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სწავლება იგეგმება N109 აუდიტორიაში, რომელშიც განთავსებულია 24 მაგიდა და სკამი, ასევე მოდულით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება ფლობის დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ აუდიტორიაში უნდა ჩატარდეს პრაქტიკული სამუშაოები ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, აუცილებელია აღნიშნული გარემოს სრულად ადაპტირება ლაბორატორიული სამუშაოებისათვის.</u>

<u>რეკომენდირებულია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა პრაქტიკული-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისთვის, კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება, როგორებიცაა მუდმივი წყლის მიწოდების სისტემის უზრუნველყოფა, ცეცხლმაქრი, სპეციალური ლაბორატორიული ავეჯი.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 2 სტომატოლოგიურ კლინიკასთან:

- *[redacted]ტომატოლოგიური კლინიკა [redacted] №1/11 10.06 2020 წელი)*
- *სტომატოლოგიური კლინიკა შპს „ბედნიერი ღიმილი“ (№1/12 10.06 2020 წელი).*

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის წარმართვის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობები. სტომატოლოგიური კლინიკები იღებენ ვალდებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უზრუნველყონ 10-10 პროფესიული სტუდენტის სწავლება. ვიზიტის დროს განხორციელდა ორივე პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება და პრაქტიკაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. ინტერვიუირების შედეგად გაირკვა,რომ სწავლება განხორციელდება ცვლებში, ფართობის სიმცირის გამო.

ხელშეკრულებას არა აქვს დანართი, სადაც იქნება იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლთა განხორციელებაც იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე, ასევე არ აქვს მოდულებით გათვალისწინებული მასალა-ნედლეულის ჩამონათვალი. რეკომენდირებულია ხელშეკრულებებში აისახოს შესაბამისი ინფორმაცია. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება უვადოდ.

„პირის ღრუს ჰიგიენისტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობაა – 40 (ორი ცვლის გათვალისწინებით, ორ მიღებაზე, თითო ცვლაში 10-10).

2. ***პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;***

პროგრამის განხორციელება იგეგმება 8 შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდლების მქონე მასწავლებლით: 5 – ზოგადი მოდულის განმახორციელებელი და 3 – საერთო პროფესიულ და პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამ ითვალისწინებს 11 საერთო პროფესიულ და 6 პროფესიული მოდულს და განხორციელება იგეგმება 3 წლის განმავლობაში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაზარდოს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების რაოდენობა. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

მასწავლებლის დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით.

პროგრამის განმახორციელებლებთან წინარე ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი კონკრეტულად რომელი მოდულის განხორციელებისთვის იწვევენ ამა თუ იმ პირს. ხელშეკრულებაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს - „საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების მოდულები"; სავალდებულო/პროფესიული მოდულების პოზიციაზე და ა.შ. სასურველია – თუ წინარე ხელშეკრულებებშიც გაიწერება კონკრეტულად რომელი მოდულის განსახორციელებლად იწვევს დაწესებულება ამა თუ იმ პირს;

ყველა მოდულში განხორციელების მისამართად მითითებულია ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას 14. თუმცა, რადგან დაწესებულებას მოდულების პრაქტიკული კომპონენტები გატანილი აქვს პრაქტიკის ობიექტებზე, ასეთ მოდულებში კარგი იქნება ორივე მისამართის მითითება.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი პროფილის პროფესიული მასწავლებლებით, რომელთა კომპეტენცია დასტურდება მათი კვალიფიკაციით და/ან პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით, რაც დასტურდება პირადი საქმეებითა და ინტერვიურებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიულ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი - დარგის სპეციალისტი და პრაქტიკოსი მასწავლებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია–მოვალეობები განისაზღვრება სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტის რექტორის ბრძანებით (N01–01/10, 7 თებერვალი 2020წ). დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსზე. ბიბლიოთეკას გააჩნია მუდმივ განახლებადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული საძიებო სისტემა. სასწავლო აუდიტორიაში/ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო რესურსების ელ.ვერსიები.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო რესურსის დათვალიერება. ბიბლიოთეკა განთავსებულია N 218, N219 ოთახში, სამკითხველო დარბაზი – N 221 ოთახში. დაწესებულების საიტზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი (openbiblio), სადაც შესაძლებელია ელექტრონული სასწავლო რესურსის ნახვა პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულებას გააჩნია აუცილებელი პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის წიგნადი რესურსი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სასწავლო უნივერსიტეტის გარემო ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად და პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ადაპტირებული სსსმ/სშმ პირებისთვის ლიფტი. სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესის ასისტენტი.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროგრამის განხორციელების მდგარადობა უზრუნველყოფილია ფინასური რესურსით, რომელსაც განაპირობებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვაუჩერული დაფინანსება სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით. ბიუჯეტის გამოთვლის შედეგად რენტაბელობის ზღვარია 6 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის N 14 დადგენილებით დამტკიცებული,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით";*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

- *სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 18 იანვრის N 04 დადგენილებით მოდიფიცირებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების /მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ მეთოდოლოგიით;*
- *პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით/ ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ;*
- *ადამიანურ რესურსთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით;*
- *პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და მასთან გასაუბრებით;*
- *სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 15 მაისის 01-02/47 ბრძანებით პროფესიულ პროგრამებზე ხელმძღვანელების განსაზღვრის შესახებ;*
- *ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;*
- *სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 01 ივნისის N01-02/50 ბრძანებით „ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მოწვევის შესახებ“;*
- *უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 01 ივნისის N01-02/51 ბრძანებით „ ინკლუზიური პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის ასისტენტის მოწვევის შესახებ“;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წლიური ბიუჯეტით;*
- *პროგრამის დანართით № 3 (პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი);*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**
2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

უნივერსიტეტს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #4, 2020 წლის 18 იანვარი), რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესს (მუხლი #9). პროგრამის შეფასება ხორციელდება გამოკითხვის, ფოკუს ჯგუფებით და ინტერვიურების გზით. შეფასების კრიტერიუმები და კითხვარი შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. კითხვარი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთვრებულების კმაყოფილების და შრომის ბაზრის კვლევას. ჩატარებული კვლევის ანალიზი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და რეაგირებისთვის წარუდგენს უფლებამოსილ პირს. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის, პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინაციით - პროფესიული პროგრამების მასწავლებლებთან თანამშრომლობით ხორციელდება ცვლილებები პროგრამაში და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

დაწესებულებას ასევე აქვს პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი (დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 აპრილის № 25 დადგენილება). უნივერსიტეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხებზე ატარებს შიდა და გარე კვლევებს. კვლევებით დგინდება შრომის ბაზრის მოთხოვნა, დამსაქმებლის კმაყოფილება, პროფესიული სტუდენტის, პერსონალის, კურსდამთავრებულის კმაყოფილება. საჭიროების შემთხვევაში კვლევების ჩატარების მიზნით (შრომის ბაზრის კვლევა) შესაძლებელია მოხდეს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სხვა ორგანიზაციის ან პირების დაქირავება (მკვლევარი/კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაცია). კვლევების პერიოდულობა განისაზღვრება თითოეული ამოცანისთვის ინდივიდუალურად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არსებული რეგულაციების მოქმედების მექანიზმები გადამოწმდა, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროფესიულის მასწავლებლებთან.
უნივერსიტეტმა განახორციელა სამეგრელოს რეგიონში პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა. გამოიკითხა ზუგდიში არსებული 5 სტომატოლოგიური კლინიკიდან 3 (60%). კვლევის ჩატარებისას გამოყენებული იქნა ონლაინ-კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის შეკითხვებს. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს კვალიფიციური კადრების აუცილებლობას.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

უნივერსიტეტს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #4, 2020 წლის 18 იანვარი), ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირებას (მუხლი 6). პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს. ცვლილებების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო აკადემიური საბჭოს მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #4, 2020 წლის 18 იანვარი);*
- *პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი (დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 აპრილის № 25 დადგენილება);*
- *უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლება „სამეგრელოს რეგიონში პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლის ანგარიში";*
- *გამოკითხვის კითხვარები;*
- *პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების კმაყოფილების კვლევის შედეგები;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**
2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**
3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**
4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**
5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული პროგრამა „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ მოიცავს დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სასწავლო პროცესი.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობასას მასწავლებელი აწარმოებს პორთფოლიოს, რომელშიც მოთავსებულია მოდული, კალენდარული გეგმა, შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო მასალა და სტუდენტთა განმავითარებელი შეფასებები.

არსებული სასწავლო გეგმა უზრუნველყოს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა.

პირის ღრუს ჰიგიენისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს,მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

დაწესებულებას პირის ღრუს ჰიგიენისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები სტომატოლოგიურ კლინიკებთან:

1. [redacted]ტომატოლოგიური კლინიკა [redacted] - 10.06.2020წ. - ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ. შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს 10 პროფესიული სტუდენტი.

2. შპს ,,ბედნიერი ღიმილი'' - სტომატოლოგიური კლინიკა – 10.06.2020წ. - ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ. შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს 10 პროფესიული სტუდენტი.

პრაქტიკის ობიექტები პროფესიული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს: უსაფრთხო სასწავლო გარემოს, პირადი დაცვის საშუალებებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზას,აღჭურვილობას,მასალა- ნედლეულს, პროფესიული სტუდენტებისათვის გამოყოფს დარგის სპეციალისტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

სტომატოლოგიური კლინიკა პროფესიული სტუდენტებისათვის ადგილზე განახორციელებს მოდულების სწავლის შედეგების იმ პრაქტიკული კომპონენტების სწავლებას და შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია სასწავლო გეგმით.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას, სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით რეაგირებს მათ ინტერესებზე და საჭიროებებზე.

სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ორ ცვლაში. პროგრამაზე წელიწადში საშემოდგომო მიღება ცხადდება ერთჯერ. სასწავლო გეგმებით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ–ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას.

დაწესებულების ვებგვერდზე http://www.zssu.ge განთავსებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. წინამდებარე წესის მე–17 მუხლში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. „სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმების გზით უზრუნველყოფს მის შემდგომ განათლებას, გადაყვანას ამავე სასწავლო უნივერსიტეტში სხვა ან მომიჯნავე პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ სასწავლო უნივერსიტეტი იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.“

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

უზრუნველყოფის სამსახურის და პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის მიერ. ასევე უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება შესაბამისი აქტებით (მივლინების შესახებ ბრძანებები) დასწრების ფურცლებით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან გასაუბრებით.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა საგანმანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესიული მასწავლებელი იყენებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს, პროფესიულ სტუდენტებს დამატებით აწვდის ჰენდაუთებს სასწავლო მასალის უკეთ ათვისებისათვის.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**
5. *პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს* **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის ხელშკრულებით.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროფესიული პროგრამა განსაკუთრებულ მიდგომებს უსაფრთხოების დაცვაზე არ საჭიროებს. უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახური სხვა შესაბამის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული „მართვის ეფექტიანობის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა/შეფასების მეთოდოლოგიით;*
- *სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის N 14 დადგენილებით დამტკიცებული„სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

- *სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 17 იანვრის 01-01/02 ბრძანებით „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პასიუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების, მართვის პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით დავალებების გაცემის შესახებ“;*
- *სასწავლო და კალენდარული გეგმებით;*
- *პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით;*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**
3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დეტალურად არის გაწერილი პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურა, ხოლო შეფასების ინსტრუმენტის ფორმა ითვალისწინებს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის მიერ ინსტრუმენტის შეთანხმების პროცედურას.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის № 121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მუხლი 41 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში“, და ასევე შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებითა და მოდულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც დეტალურად გაწერილია: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოდულური/დუალური) პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება. შეფასება ხორციელდება დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტების ფორმების შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტს შეფასების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე, ხოლო შედეგებს გაეცნობა შეფასებიდან არაუმეტეს 3 დღის ვადაში. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს აპელაციის მექანიზმს. მტკიცებულებების ვალიდურობას პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები შემთხვევითობის პრინციპით ამოწმებს სასწავლო წლის განმავლობაში მინუმ 2-ჯერ, საჭიროების შემთხვევაში დებს რეკომენდაციებს/შენიშვნებს;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის მექანიზმი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვერიფიკაციას, სადაც დგინდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს პროგრამის ხელმძღვანელს და მოდულის განმახორციელებელ პირებს („ვერიფიკატორები“); პროგრამის ხელმძღვანელს ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება ეკისრება რექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, სადაც გაწერილია მისი ფუნქცია-მოვალეობები.

პროგრამის ხელმძღვანელის/დარგის სპეციალისტის მიერ ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტს შერჩევითობის პრინციპით, პერიოდულად ამოწმებს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. საჭიროების შემთხვევაში იდება რეკომენდაციები/შენიშვნები.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მტკიცებულებები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტებისთვის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ხდება მათი განადგურება. მტკიცებულებების განადგურების შესახებ დგება ოქმი; მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს/სურვილისამებრ – პროფესიულ სტუდენტს; შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. შემდგომში მტკიცებულებებს იბარებს სასწავლო პროცესზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

პასუხისმგებელი პირი. პროფესიული სტუდენტის მოდულების შედეგების უწყისები დაცულია და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებამდე, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ – უნივერსიტეტის არქივში მუდმივად.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტების კითხვარით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

24 ივლისი 2020 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -- -----

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---